

შპს “აფსიდა”

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
 ფინანსური ანგარიშგების დამატებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. მომზადების საფუძვლები	6
3. შეფასების საფუძვლები	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები	12
5. მარაგები	12
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
7. ძირითადი საშუალებები	12
8. გრძელვადიანი სესხები	13
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14
10. შემოსავალი	14
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	14
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14
13. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14
14. ფინანსური შემოსავალი	15
15. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	15
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენები	16

შპს „აფსიდა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	10	1,413,518	2,144,524
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(5,563,846)	(709,753)
საერთო მოგება		(4,150,328)	1,434,772
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(540,833)	(470,318)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	13	(36,438)	(27,713)
სხვა ხარჯები		(78,625)	(71,713)
საოპერაციო მოგება		(4,806,225)	865,027
ფინანსური შემოსავალი	14	3,883,369	56,552
ფინანსური ხარჯი		-	(1,770)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		102,333	146,574
მოგება დაბეგვრამდე		(820,522)	1,066,383
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(820,522)	1,066,383

დადასტურებული და ხელმოწერილი 23 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ნომრევან ლიპარტელიანი

ბუღალტერი - ნუნუ ლიპარტელიანი

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აფსიდა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,209,229	3,427,652
არამატერიალური აქტივები		-	4,136
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,209,229	3,431,788
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	4,411	400,603
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	578,276	767,327
მარაგები	5	5,367,815	7,522,310
წინასწარ გადახდილი გადასახადები		263,620	118,883
სულ მოკლევადიანი აქტივები		6,214,122	8,809,122
სულ აქტივები		7,423,351	12,240,911
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		239,521	232,521
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		667,353	1,487,875
სულ კაპიტალი		906,873	1,720,396
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	1,308,459	5,698,448
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,308,459	5,698,448
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	5,208,019	4,822,067
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,208,019	4,822,067
სულ ვალდებულებები		6,516,478	10,520,515
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7,423,351	12,240,911

დადასტურებული და ხელმოწერილი 23 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ნომრეგვან ლიპარტელიანი

ბუღალტერი - ნუნუ ლიპარტელიანი

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აფსიდა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2016 წლის 31 დეკემბერი	232,521	421,492	654,013
წმინდა მოგება	-	1,066,383	1,066,383
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1,066,383	1,066,383
2017 წლის 31 დეკემბერი	232,521	1,487,875	1,720,396
წმინდა მოგება	-	(820,522)	(820,522)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(820,522)	(820,522)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	7,000	-	7,000
2018 წლის 31 დეკემბერი	239,521	667,353	906,873

დადასტურებული და ხელმოწერილი 23 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ნოშრევან ლიპარტელიანი

ბუღალტერი - ნუნუ ლიპარტელიანი

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოდგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აფსიდა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წმინდა მოგება	(820,522)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	2,351,087
- ცვეთა	96,840
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება/ჩამოწერა	2,241,796
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გავლიდან	102,333
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	(89,883)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	2,584,760
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	189,051
- მარაგები	2,154,495
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	385,951
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(144,738)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	4,115,324.5
- დარიცხული პროცენტები	391,404
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	4,506,729
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
- ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(116,077)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(116,077)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	7,000
- სასესხო ვალდებულების ზრდა	1,509,768
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(5,899,756)
- გადახდილი პროცენტები	(391,404)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(4,774,393)
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(12,451)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა სხვაობა	(396,192)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	400,603
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4,411

დადასტურებული და ხელმოწერილი 23 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ნოშრევან ლიპარტელიანი

ბუღალტერი - ნუნუ ლიპარტელიანი

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოდგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აფსიდა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2007 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ვაკე-საბურთალოს რაიონი, გ. სააკაძის დაღმართი №6, კომერციული ფართი (ოფისი) №32, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. კომპანია ოპერირებს საქართველოს ტერიტორიაზე.

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის ნომრეგან ლიპარტელიანი.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნა და სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მომზადდა მსს ფასს სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ფინანსური ანგარიშგა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასის) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია იყენებს ისტორიული ღირებულების პრინციპს, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკა და გამოყენებული პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა

შპს „აფსიდა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება მიმდინარე და გრძელვადიანობის საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. შეფასების საფუძვლები

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების ღირებულებისა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით შემდეგნაირად:

შენობები	30 - 50 წელი
ნაგებობები	10 - 20 წელი
მანქანა დანადგარები	15 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2 - 10 წელი
ავიჯი და სხვა ინვენტარი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 - 10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	3 - 5 წელი

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მიეკუთვნება „სხვა შემოსავლებს“ ან „სხვა საოპერაციო ხარჯებს“.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის ნარჩენ ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ არაფინანსური აქტივის, გარდა გუდვილისა, გაუფასურების ზარალი მცირდება, აქტივის (აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება ახალ მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ არაუმეტეს იმ ღირებულებისა, რომელიც ამ აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო ამ აქტივისათვის (აქტივთა ჯგუფისათვის) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემცირება აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტის ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს აქტივებს, რომელთა გადაცვლა ფულზე წინასწარ ცნობილი ოდენობით შესაძლებელია დაუბრკოლებლად და ამასთან, მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი, სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ტრანსპორტირებასთან, პირდაპირ სახელფასო დანახარჯებთან.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ანარიცხები და პირობითი აქტივები/ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ როდესაც, კომპანიას წარსული მოვლენების შედეგად საღრიცხვო პერიოდისათვის აქვს ვალდებულება. შესაძლოა კომპანიის მიმართ გაჩნდეს მოთხოვნა, რომ გადაიტანოს თავისი ეკონომიკური სარგებელი და ვალდებულების მოცულობა

შპს „აფსიდა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ. ანარიცხები იზომება პრე- საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მოცულობის დღევანდელ ღირებულებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და კონკრეტული ვალდებულების რისკებს. ანარიცხების ზრდა, დროის გასვლის გამო, აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი. ანარიცხების აღიარება არ ხდება მომავალ საოპერაციო დანაკარგებზე.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები არ აღიარდება.

შემოსავლის აღიარება

საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის და მომსახურების ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

თუ შემოსავალი უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული შემოსავლის თანხის კორექტირება.

საოპერაციო ხარჯები

(ა) თანამშრომელთა სახელფასო და სხვა სარგებელი

დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის (დაზღვევა) დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება. კომპანიას არ აქვს შრომითი საქმიანობის შემდგომი ვალდებულებები.

(ბ) იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

შპს „აფსიდა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახურლი შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	3.3955
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	3.5005
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5345	2.9913	3.3812
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5095	2.8322	3.2315

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი წარმოიშობა არა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამომუშავებულ მოგებაზე, არამედ მოგებაზე, რომლის განაწილებაც მოხდება დივიდენდებად. დივიდენდის განაწილებისას

შპს „აფსიდა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გადასახდელი მოგების გადასახადის ოდენობა განისაზღვრება განაწილებული მოცულობის 15/85-ით. დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდება საბოლოოდ დივიდენდების გაცემა.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და დაკლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი.

შპს „აფსიდა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

4. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული სალაროში	4,163	48,657
ფული საბანკო ანგარიშებზე	248	351,946
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	4,411	400,603

5. მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მზა პროდუქცია	504,413	377,568
ნედლეული	15,416	47,484
დაუმთავრებელი წარმოება	4,847,986	7,097,259
სულ მარაგები	5,367,815	7,522,310

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	456,263	639,120
გადახდილი ავანსები	121,907	97,904
სხვა მოთხოვნები	106	30,302
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	578,276	767,327

7. ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	მიწა	ჯამი
2017 წლის ბოლოს					
მდგომარეობით	898,358	332,748	13,045	2,183,500	3,427,652
შესყიდვა	52,556	62,920	602	-	116,077
გასვლა	97,357	25,000	-	2,119,444	2,241,801
ცვეთის ხარჯი	(17,576)	(68,996)	(6,128)	-	(92,699)
2018 წლის ბოლოს					
მდგომარეობით	835,981	301,672	7,520	64,056	1,209,229

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

8. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ბანკის სესხები	1,308,459	5,698,448
სულ სესხები	1,308,459	5,698,448

გრძელვადიანი სესხების მოკლევადიანი წილი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ბანკის სესხები	93,210	5,698,448
სულ სესხები	93,210	5,698,448

სესხის ხელშეკრულება N 2016-09-29/0020/BSN/090392/023, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს ბაზის ბანკს შორის, წარმოადგენს სესხს, რომელიც ძალაში იყო 2018 წლის 30 სექტემბრამდე. სესხის თანხა 650,000 აშშ დოლარი, საპროცენტო განაკვეთი წლიური 13%. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება დაფარულია სრულად. სესხის თანხა გამოყენებულ იქნა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

სესხის ხელშეკრულება N 2016-09-29/0020/BSN/090392/024, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს ბაზის ბანკს შორის, წარმოადგენს სესხს, რომელიც ძალაში იყო 2018 წლის 30 სექტემბრამდე. სესხის თანხა 830,000 აშშ დოლარი, საპროცენტო განაკვეთი წლიური 13%. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება დაფარულია სრულად. სესხის თანხა გამოყენებულ იქნა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

სესხის ხელშეკრულება N 2016-09-29/0020/BSN/090392/025, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს ბაზის ბანკს შორის, წარმოადგენს სესხს, რომელიც ძალაში იყო 2018 წლის 30 სექტემბრამდე. სესხის თანხა 800,000 აშშ დოლარი, საპროცენტო განაკვეთი წლიური 13%. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება დაფარულია სრულად. სესხის თანხა გამოყენებულ იქნა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

სესხის ხელშეკრულება N 2018-06-26/0024/BSN/090392/026, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს ბაზის ბანკს შორის, წარმოადგენს სესხს, რომელიც ძალაშია 2028 წლის 28 ივნისამდე. სესხის თანხა 565,000 აშშ დოლარი, საპროცენტო განაკვეთი წლიური 8%. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 1,215,248 ლარს. სესხი აღებულია საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი და საბრუნავი საშუალებებით.

სესხზე გადახდილი პროცენტები კაპიტალიზებულია.

შპს „აფსიდა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	1,670,460	2,078,121
მიღებული ავანსები	3,492,779	2,745,831
გადასახდელი ხელფასები	44,780	(1,885)
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5,208,019	4,822,067

10. შემოსავალი

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საქონლის რეალიზაცია	983,958	613,540
მიწის რეალიზაცია	-	758,498
მომსახურების რეალიზაცია	429,560	772,486
სულ შემოსავალი	1,413,518	2,144,524

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მზა პროდუქციის თვითღირებულება	2,899,744	-
ნედლეულის თვითღირებულება	2,401,282	413,483
მომსახურების თვითღირებულება	262,819	296,270
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5,563,846	709,753

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
შრომის ანაზღაურება	136,356	206,223
ცვეთა და ამორტიზაცია	96,840	66,463
რემონტის ხარჯი	4,424	7,281
კომუნალური ხარჯი	70,871	54,774
ბანკის მომსახურება	10,306	2,000
სესხზე დარიცხული ჯარიმა	183,587	46,807
იჯარის ხარჯი	29,834	68,821
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	7,318	13,959
კომუნიკაციის ხარჯები	1,297	3,990
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	540,833	470,318

13. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საწვავის ხარჯი	19,307	21,987
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	17,132	5,727
სულ მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	36,438	27,713

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აფსიდა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

14. ფინანსური შემოსავალი

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სხვა ფინანსური შემოსავალი	(5,788)	(51,445)
ბანკისთვის ბინების მიწოდებიდან		
მიღებული შემოსავალი	(3,877,581)	-
სულ ფინანსური შემოსავალი	(3,883,369)	(56,552)

15. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს, რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია მხოლოდ ლარში, ხოლო ფინანსური ვალდებულებები როგორც ლარში ასევე აშშ დოლარში.

	ლარი	დოლარი	სულ
სესხები	-	1,308,459	1,308,459
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,208,019	-	5,208,019
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,208,019	1,308,459	6,516,478

შპს „აფსიდა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის ლართან მიმართებაში 10%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 10% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

	აშშ დოლარის გავლენა	
	ლარი/ აშშ დოლარი - 10%	ლარი/ აშშ დოლარი + 10%
მოგება/ ზარალი	130,845.87	(130,845.87)

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.